

ISSN 1987-8583

ახალი ნომერი კონცეფცია სარედაქციო საბჭო თემატიკა ავტორებისათვის შეფასების სისტემა ჟურნალის არქივი ინდექსირება

ელ-ფოსტა:

პაროლი:

რეგისტრაცია

ქართველოლოგია

ლიტერატურათმცოდნეობა

ენათმეცნიერება

თარგმანმცოდნეობა

*სტატიების წარმოდგენა შესაძლებელია
ყოველი წლის
30 სექტემბრიდან 30 ნოემბრამდე.*



ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის
სახელმწიფო
უნივერსიტეტი



რუსთაველის
ფონდი



საქართველოს
განათლებისა
და მეცნიერების
სამინისტრო

ERIH PLUS
EUROPEAN REFERENCE INDEX FOR THE
HUMANITIES AND SOCIAL SCIENCES


EBSCOhost



"სპეკალს" მეორე ნომერი * ქართველოლოგია * ნესტან ჩხიკვაძე

ქართული ხელნაწერი უცხოეთის საცავებში (საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკა)

ქართული ხელნაწერი ტრადიცია არ შექმნილა ჩაკეტილ გარემოში. ქრისტიანობის წიაღში საფუძველზე ჩაყრილი, იგი მჭიდროდ დაუკავშირდა შუა საუკუნეების ქრისტიანულ აღმოსავლურ სივრცეს. კულტურულ-პოლიტიკურმა ინტერესმა უკვე V საუკუნეში მიიყვანა ქართველი მწიგნობრები ისტორიულ სირია-პალესტინასა და მოგვიანებით - ბიზანტიაში, X-XI საუკუნეებში დააარსებინა საკუთრივ ქართული მონასტრები ათონის მთაზე (ივირონი), იერუსალიმსა (ჯვრის მონასტერი) და ბაჩკოვოში (პეტრიწონი, ამჟამინდელ ბულგარეთში) [მენაბდე, 1980]; მანვე განაპირობა ქართული ხელნაწერის გავრცელება ქრისტიანული აღმოსავლეთის დიდ სამონასტრო ცენტრებში. ეს კოლექციები დღესაც ინახება ათონის მთის, სინის მთისა და იერუსალიმის შერძნული საპატრიარქოს წიგნსაცავებში. გვიანი შუა საუკუნეებიდან ევროპელთა დიდმა დანატრეხებამ ქრიატიანული აღმოსავლეთით ხელი შეუწყო ქართული ხელნაწერი წიგნის მოხვედრას ევროპის სიძველეთსაცავებში, რომელთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო ცენტრია საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკა.

საფრანგეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში ქართული ხელნაწერის პირველი ეგზემპლარი მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში შევიდა. აქედან მოყოლებული მისიონერების, პოლიტიკური მოღვაწეებისა თუ კერძო პირების მეშვეობით ეს ფონდი თანდათანობით იზრდებოდა. დღეს ეს კოლექცია 32 ერთეულს ითვლის, რომელთაგან ორი 1865 და 1897 წლებში ხელნაწერთა ინვენტარიზაციის დროს ვიქტორ ლანგლუასა და ლეონ ფერის მიერ შედგენილი ფრანგულენოვანი ხელნაწერი კატალოგია. ბუნებრივია, ამ სახის სამუ-შაოს შესრულება დიდ სირთულესთან იყო დაკავშირებული, ვინაიდან შემდგენლებს უნდა დაეთარილებინათ და დაედგინათ რაობა მათთვის პრაქტიკულად უცნობი კულტურის ძეგლებისა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმეში ბიბლიოთეკას დიდი დახმარება გაუწია ფრანგმა ქართველოლოგმა მარი ბროსემ. კოლექციის ცალკეულ ერთეულებს დღესაც ერთვის ბროსესული განმარტებები, რომ აღარაფერი ვთქვათ ძეგლების მკვლევრისებულ პუბლიკაციებზე. [Brosset, 1830, 113-128; 1833; 1834,1837]

1908 წელს გამოვიდა პირველი მოკლე ბეჭდური ფრანგულენოვანი კატალოგი. [Makler,1908] მისი შემდგენელი, ფრანგი არმენოლოგი ფრედერიკ მაკლერი, ეყრდნობოდა კოლექციის უკვე არსებულ ხელნაწერ კატალოგებს, ბროსესულ ცნობებსა და ალ. ხახანაშვილისეული აღწერილობის მონაცემებს. [ხახანაშვილი,1898] მაგრამ კატალოგი ვერ ასცდა ცდომილებებს განსაკუთრებით იმ ხელნაწერთა რაობის, თარიღისა და წარმომავლობის საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც არ იყო მეცნიერულად შესწავლილი და მხოლოდ ცალკეული პირების სუბიექტურ ვარაუდებს ეყრდნობოდა.

პირველი და ბოლო დრომდე ერთადერთი ქართულ ენაზე შედგენილი სამეცნიერო აღწერილობა, რომელშიც განხილულია ხელნაწერთა ზუსტი რაობა, თარიღი და სხვა რიგის ისტორიულ-ფილოლოგიური საკითხები, ეკუთვნის ექვთიმე თაყაიშვილს, რომელმაც ეს შრომა 1933 წელს გამოსცა პარიზში. [თაყაიშვილი, 1933][1] პუბლიკაცია ეხება იმ დროისათვის ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული 28 ქართულ ერთეულს. ამ აღწერილობით გაიგნო კოლექცია ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ. სავეტებით ნათელი გახდა, რომ იგი ქართული ხელნაწერი წიგნის ძალზე საგულისხმო ეგზემპლარებს შეიცავს, რომელთა შესწავლაც არსებითად შეეხება არა მხოლოდ ძველი ქართული, არამედ, ზოგადად, ქრისტიანული მწერლობის ისტორიის კვლევის შედეგებს. ამგვარი საშუალება ქართულ ისტორიულ-ფილოლოგიურ მეცნიერებს მიეცა XX ს-ის 70-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც საფრანგეთში მცხოვრები ნინო და კალისტრატე სალიების დახმარებითა და ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის, ელენე მეტრეველის, ხელმძღვანელობით ბიბლიოთეკასთან

შეთანხმების საფუძველზე ხელნაწერთა ინსტიტუტმა (ამჟამად ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა) მიიღო ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ფონდის ყველა ხელნაწერის მიკროფირი, მათ შორის იმ ახალი ფრაგმენტებისა, კერძოდ, ხანმეტი ლექციონარის 1 და იოვანე-ზოსიმეს იადგრის 4 ფურცლისა, რომლებიც ერთ ხელნაწერად აკონძული ბიბლიოთეკის ფონდებში XX ს-ის 70-იან წლებში შევიდა. ამ ფრაგმენტების იდენტიფიკაციის საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ფრანგ ქართველოლოგ ბენარ უტიეს [Outtier, 1972; Outtier, 1984; უტიე, 1973], რომელმაც მოგვიანებით ბიბლიოთეკის სომხურ ხელნაწერზე მუშაობისას აღმოაჩინა ყდის საცავად გამოყენებული კიდევ ერთი ქართული ხელნაწერი ფურცელი, დაათარია იგი და განსაზღვრა მისი რაობა. ესაა X საუკუნის ლიტურგიკული კრებულის ფრაგმენტი, რომელიც ამჟამად კოლექციის 31-ე ერთეულს წარმოადგენს[2]. ე. მეტრეველმა ჯერ კიდევ ნაციონალურ ბიბლიოთეკაში მუშაობისას განსაზღვრა ამ კოლექციის მნიშვნელობა და მისი დარგობრივი კვლევის აუცილებლობა დაისახა მიზნად. მისი დასკვნებისა და ამოცანების გაცნობა შესაძლებელია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საარქივო ფონდში დაცული მასალის საფუძველზე. [ე. მეტრეველის არქ. NN 511-514] მიკროფირების ჩამოტანის შემდეგ იგი თავად ხელმძღვანელობდა ამ მიმართულებით გაწეულ სამეცნიერო საქმიანობას.

ექვთიმე თაყაიშვილის აღწერილობა და ქართველ მეცნიერთა კვლევის შედეგებიც საფრანგეთში ცნობილი იყო მხოლოდ ქართველოლოგთა ვიწრო წრისათვის და ენობრივი ბარიერის გამო მათზე ხელი არ მოუწვდებოდა ფართო სამეცნიერო საზოგადოებას. სწორედ ამ მიზეზით გახდა საჭირო შემდგარიყო ახალი ფრანგულენოვანი ელექტრონული კატალოგი, რომელშიც გასწორდებოდა მაკროსიკული პუბლიკაციის ცდომილებები და წარმოდგენილი იქნებოდა როგორც ხელნაწერთა კვლევის უტყუარი შედეგები, ასევე ყოველ ერთეულთან დაკავშირებული ბიბლიოგრაფია. ნაციონალურ ბიბლიოთეკასა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე შესაძლებლობა მოგვცა 2009 წლის აპრილ-ივნისში გვერდუთა პარიზში ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული კოლექციის აღწერასა და კატალოგაციასზე[3]. ამ სამუშაოს შესრულებისას მიზნად დავისახეთ კატალოგში შეგვეტანა სხვათაგან ხელნაწერთა უსუსტი ტექნიკური აღწერილობა, თარიღი და რაობა, დაგვეერთო დღეისათვის არსებული სრული ბიბლიოგრაფია და შენიშვნები, რათა ფართო საზოგადოებისათვის წარვედგინა ქართული ისტორიულ-ფილოლოგიური და უცხოეთის ქართველოლოგიური სკოლების კვლევის შედეგები, ქართული ხელნაწერი წიგნის, როგორც კულტურათა დიალოგის აშხაველი ფენომენის, მნიშვნელობა. იმის გათვალისწინებით, რომ კატალოგი ვებგვერდისათვის იყო გამიზნული, სამუშაოს დასრულებისას მას დაერთო ცალკეული გვერდებისა თუ ყდების ფრაგმენტების ციფრული ფორმები.

ჩატარებულმა სამუშაომ საშუალება მოგვცა, ერთიანად შეგვეფასებინა როგორც კოლექციის მნიშვნელობა, ასევე მისი შესწავლის მდგომარეობა. უპირველესად უნდა ითქვას, რომ ეს, ერთი შეხედვით, არცთუ მრავალრიცხოვანი კოლექცია მოიცავს ქართული ხელნაწერის ისტორიის ვრცელ პერიოდს - VII-XIX საუკუნეების სასულიერო და საერო შინაარსის ეს წიგნები და ფრაგმენტები ფართო კომპლექსური კვლევის გამლის საშუალებას

გვაძლევს. ამჯერად გამოვიყოფთ რამდენიმე ადრეულ კრებულსა თუ ფრაგმენტს, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭებათ ქრისტიანული კულტურის იერუსალიმური პერიოდის საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრების რეგლამენტაციისა და ძეგლების ადრეული რედაქციების შესწავლის თვალსაზრისით.

უპირველეს ყურადღებას იმსახურებს VII საუკუნის ხანმეტი ლექციონარის I ფურცელი (16x14,5 სმ), რომელიც Geo. 30-ის ნაწილია. ეს ფრაგმენტი იმ უძველესი, სავარაუდოდ, პალესტინური წარმომავლობის ლექციონარის ნაწილია, რომელიც X ს-დან სინის მთის ქართულ მწიგნობართა ბიბლიოთეკის ნაწილი იყო. იგი ჯერ კიდევ 1883 წელს აღწერა ალ. ცაგარელმა. [Цагарели, 1888] XIX ს-ის დასასრულს ხელნაწერი 29 ფურცელს შეიცავდა. ამავე ეპოქაში იგი, როგორც ჩანს, დამოღობი სახით გამოიტანეს სინის მთიდან. ლექციონარის 27 ფურცელი, პირველისა და ბოლოს გამოკლებით, მოხვდა ავსტრიაში, გრავის უნივერსიტეტის პროფესორ შუხარტთან [Schugardt, 1928], რომელმაც იგი სხვა ხელნაწერთან ერთად უანდერმა გრავის უნივერსიტეტს. გრავის ხელნაწერი შეიცავდა და ხანმეტი ლექციონარის ტექსტი გამოსცა ავ. შანიძემ. [შანიძე, 1929:310-353; შანიძე, 1944] მოგვიანებით გაირკვა, რომ ბოლო ფურცელი, რომელზედაც შემორჩენილია X ს-ის სიელი მოღვაწის, იოვანე-ზოსიმეს, ანდერძი, ინახება დიდ ბრიტანეთში, ბირმინგემში, Selly Oak College-ის ბიბლიოთეკაში [Pearson, 1954:43; Garitte, 1960:239-259], ხოლო საფრანგეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცულია პირველი ფურცელი, რომელიც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, იდენტიფიცირებული და სამეცნიერო საზოგადოების წინაშე წარდგენილია ბ. უტიეს მიერ. [Outtier, 1972:393-402; უტიე, 1973:173-175] უცხოეთის სამ სხვადასხვა ცენტრში დაცული ფრაგმენტების კვლევის შედეგებით შესაძლებელი გახდა როგორც კონკრეტულად ამ ადრეული ლექციონარის ტექსტობრივ-რედაქციული თავისებურებების შესწავლა, ასევე ქრისტიანული აღმოსავლეთის სკრიპტორიუმებს შორის არსებული კავშირებისა და არქაული ტექსტებისადმი მათი დამოკიდებულების გამოვლენა. როგორც ბირმინგემში დაცულ ფურცელზე არსებული ანდერძი გვამცნობს, ლექციონარი 983 წელს მესამედ ჩაუსვამს ყდაში ცნობილ სინელ მწიგნობარს და რედაქტორს იოვანე-ზოსიმეს, რაც იმას მიგვანიშნებს, რომ იერუსალიმური ტრადიციის ეს ადრეული ლიტურგიკული კრებული X ს-ის დასასრულსაც, როდესაც ქართულ საღვთისმსახურო პრაქტიკაში ინტენსიურად შემოდიოდა კონსტანტინეპოლური რედაქციის ტექსტები, აქტუალურ წიგნს წარმოადგენდა. საინტერესოა ისიც, რომ ტექსტს გაუვლია ერთგვარი ენობრივი რედაქცია, უცდათ ხმარებიდან გამოსული „ხანების“ ამოშლა, თავად ტექსტი არც გადაუზხვიავთ და საწერ ფურცლად არ გამოუყენებიათ, როგორც ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე სკრიპტორიუმებში, სადაც საწერი მასალის ეკონომიის მიზნით ხშირად ხელმეორედ იყენებდნენ ადრე ნაწერ ფურცლებს. არქაული რედაქციის ტექსტები უმეტეს შემთხვევაში პალიმფესტთა ქედა ფენებზეა შემორჩენილი.

სწორედ პალიმფესტურ ფურცლებზეა გადაწერილი იმავე Geo. 30-ის მომდევნო მცირე ზომის (15,4x13,3 სმ.), არათანაბრად შემოჭრილი 4 ფურცელი, რომლებზეც იკითხება იოვანე-ზოსიმეს იადგრის ფრაგმენტი - ბარნაბას მოსახსენებელი.[4] აღსანიშნავია, რომ პალიმფესტის ქედა ფენა სირიულია. ტექსტი იდენტიფიცირებულია ბ. უტიეს მიერ. [Outtier,1984:73-79] სირიულ-ქართული პალიმფესტის არსებობა ქართველ და სირიულ სასულიერო პირთა თანამოღვაწეობის დასტურია, რაც საკვებით ბუნებრივი მოვლენა იყო შუა საუკუნეების აღმოსავლური სკრიპტორიუმების ცხოვრებაში. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანობის ოფიციალურ ენას ბერძენულს წარმოადგენდა, ამას სრულიად არ შუშულია ხელი ეროვნულ ენებზე მწერლობის განვითარებისათვის ისეთ სამონასტრო ცენტრებშიც კი, რომლებიც კონსტანტინეპოლის დიდი ეკლესიის გავლენაში შედიოდნენ. თუ კარგად დავაკვირდებით შუა საუკუნეების ქრისტიანული მწერლობის ისტორიას, თვალნათლივ დავინახავთ, რომ სარწმუნოებრივ-აღმსარებლობითი ერთობის პარალელურად ქრიატიანული აღმოსავლეთის ქვეყნებში ვითარდება ეროვნული ლიტერატურული ტრადიციები, რომლებიც უპასუხებენ ერთიანი ეკლესიის მოთხოვნას, მაგრამ, ამავე დროს, ინარჩუნებენ ტრადიციული არჩევნის უფლებას. სწორედ ამიტომ, რომ დღეს ქრისტიანული კულტურისა და ბიზანტიური აზროვნების ისტორიის შესწავლისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ერთა ლიტერატურულ საქმიანობას, რომლებმაც სასულიერო ცხოვრებისა და მწერლობის კონსტანტინეპოლური ტრადიციის შესაბამისად უნიფიცირების პირობებში არ უარყვეს და დაიწყეს არ მისცეს ქრიატიანობის წიაღიდან - ისტორიული პალესტინიდან - ისტორიული ცოდნა და კულტურული კონტაქტები. ასეთი საწერლობო ტრადიციები ქართული, სირიული, ქრისტიანული არაბული, სომხური, კოპტური. სწორედ ეს ესმობათ კარგად ევროპელ ორიენტალისტებს, რომელთაც თავიანთი ყურადღება ქართველოლოგიურ კვლევასაც მიაპყრეს.

ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართულ კოლექციაში იერუსალიმური ტრადიციის კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ხელნაწერი დაცულია. ესაა Geo.3 - პარიზის ლექციონარის სახელწოდებით ცნობილი დიდი მოცულობისა (387 ფურცელი) და ფორმატის (ფურცლის ზომა: 36x25 სმ), ნუსხურით გადაწერილი, X-XI საუკუნეთა მიჯნის ხელნაწერი. წიგნი ნაკლებია, ამიტომაც ძირითადად ანდერძმა ჩვენამდე ვერ მოაღწია და, შესაბამისად, გადაწერის ადგილი უცნობია. 237v-ზე იკითხება გადაწერის მონაწილის მინაწერი, რომელშიც იგი მოიხსენიებს სულიერ მამა სტეფანეს. ე. თაყაიშვილის თვალსაზრისით, ეს უნდა იყოს X ს-ის მეორე ნახევრის ცნობილი მოღვაწე სანანოსძე-ჭყონდიდელი. [თაყაიშვილი,1933:262] სტეფანე სანანოსძის შესახებ არსებული ცნობების თანახმად, ჭყონდიდის ეპისკოპოსი მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდა იერუსალიმშიც. [კეკელიძე, 1980:178-179] თუკი გადაწერის სწორედ სტეფანე სანანოსძის დაუკავშირებთ, სავსებით ზუნებრივი აღმოჩნდება, რომ ასეთი მოღვაწის სულიერი ხელმძღვანელობით გადაწერებოდა სწორედ იერუსალიმური ტრადიციის ლექციონარი. სადაც არ უნდა ყოფილიყო გადაწერილი, წიგნი საქართველოს ერთ-ერთი მონასტრისათვის იყო განკუთვნილი და აქვე ინახებოდა. ხელნაწერის ყდაზე შესრულებული იტალიური წარწერა სწორედ იმას გვაჩვენებს, რომ წიგნი 1731 წელს საქართველოდან გაუტანია კავკასიაში მისიონერების წინამძღვარს. წიგნი ჩამოხლია XVI ს-ის ტიპურ ტვიფრულ ტყავის ყდაში[5]. ამჟამად ეს მეტად მნიშვნელოვანი ხელნაწერი რესტავრირებულია[6]. იერუსალიმური საეკლესიო პრაქტიკისა და კალენდრის შესწავლის მიზნით ხელნაწერი ადრევე მოეცა ევროპელ მკვლევართა ყურადღების ცენტრში. 1923 წელს იგი გამოცა ჰ. გუსენმა. [Goussen, 1923] მოგვიანებით მიხეილ თარხნიშვილმა ქართული ლექციონარის სხვა ხელნაწერებთან ერთად გამოაქვეყნა ეს უმნიშვნელოვანესი საღვთისმსახურო ძეგლი. [Tarkhnicvili,1959-1960] ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერი გამოიცა საქართველოშიც. [ქართული...1987; ქართული...1997]. [7]

იერუსალიმური ტრადიციისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებისა და პალესტინაში არსებული კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობების კვლევისათვის საინტერესო მასალას გვაწვდის ნაციონალური ბიბლიოთეკის კიდევ ერთი ქართული ხელნაწერი - ოთხთავი Geo.28. ესაა მაღალი ხარისხის ეტრატზე ოქრომელნის გამოყენებით ნუსხურით შესრულებული და მახარებელთა მინიატურებით შემკული წიგნი. გადაწერია მალ დავითისძე. ხელნაწერის სრული ორგანიზება - გვერდების დაკაბადონება, სტრუქტურისა და ამიების პროპორციული და თანაბარი განაწილება, ოქროვერცხლით შემკული ყდა, რომელიც, ანდერძის თანახმად (5v-6r)[8], ჰქონია ოთხთავს - სავსებით გასაგებს ხდის, რომ ეს წიგნი საგანგებოდაა დაკვეთილი და შესრულებული. ეს არცაა შემთხვევითი ფაქტი.

ვინაიდან მასზე დართული ანდერძ-მინაწერები გვამცნობს, რომ ოთხთავი გადაწერილია საქართველოში და შეწერილია იერუსალიმის ჯვრის მონასტრისათვის, რომლის მიმართაც შუა საუკუნეების საქართველოს სახელმწიფო და საეკლესიო პირებს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდათ. იერუსალიმის ჯვრის მონასტერი იყო შუა საუკუნეების ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრივი სტატუსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინება ქრისტიანულ აღმოსავლეთში. მასზე მზრუნველობა არც ერთიანი სახელმწიფოს დაშლისა და პოლიტიკური მწელებდობის ჟამს (XIV-XVIII ს.ს.) შეწყვეტილა.[9] გვიან შუა საუკუნეებში საქართველოში შექმნილი ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობა ვინანსურად უზრუნველყოფდა იერუსალიმში არსებული ამ მნიშვნელოვანი ცენტრის ფუნქციონირებას [ხუციშვილი, 2006], ხოლო მასზე დაცული საეკლესიო სიძველეების დაცვა-განახლებაზე ზრუნავდნენ წმინდა მიწაზე ჩასული ქართველი პილიგრიმები. [მეტრეველი,1962] ამგვარი მზრუნველობის კვალი Geo.28-საც ატყვია. 247r/v-ზე დართული ანდერძების თანახმად, XVI ს-ში ოთხთავის ყდა განახლებია ურზნისის მთავარეპისკოპოს ევლასეს[10], ხოლო XVIII ს-ში - ვინმე ანდრია ვაზნიძეს. ხელნაწერს პალეოგრაფიული ნიშნით ე. თაყაიშვილი XIII ს-ით ათარილებს [თაყაიშვილი, 1933: 294], ხოლო ე. მეტრეველს გადაწერის თარიღი XII საუკუნეში გადმოაქვს. [მეტრეველი,2007:278] ჩვენ არ შევუძლებთ აღნიშნულ საკითხზე სიღრმისეულ მსჯელობას, მხოლოდ დავძენთ, რომ ოთხთავის მოხატულობა ზევრად ჩამოუვარდება XII საუკუნის მაღალმატერული ოთხთავების მინიატურულ ხელოვნებას[11]. ჩვენს ყურადღებას იპყრობს ორი გარემოება: პირველი ეხება გადაწერისეულ მინაწერს (231v), რომლის თანახმადაც, ჯვარელ მოღვაწეებს შეუძლიათ, ისარგებლონ როგორც კონსტანტინეპოლიური, ასევე „ქართული“ კალენდრით. „ქართულად“, საზოგადოდ, მოიხსენიებდნენ იერუსალიმის კანონს. [კეკელიძე, 1980:579] მეორე საყურადღებო საკითხს წარმოადგენს მასზე დართული ჯვარისანთა მოსახსენებლები (246v)[12]. უნდა ითქვას, რომ ამგვარი მოსახსენებლები ერთვის ჯვრის მონასტრის კიდევ ერთ ხელნაწერს (H1667), რაც იერუსალიმში ქართველთა და ლათინთა, კერძოდ კი, ტამპლიერთა ორდენის წევრებს შორის მჭიდრო ურთიერთობის გამოხატულებას წარმოადგენს. [მეტრეველი, 1962:56]

ამდენად, ნაციონალური ბიბლიოთეკის ეს ხელნაწერი ქრისტიანულ აღმოსავლეთში ევროპელთა მოღვაწეობის ისტორიის კვლევისათვის საინტერესო მასალასაც გვაწვდის.

[1] თაყაიშვილის ეს შრომა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. იგი ხელმეორედ გამოცა გ. შარა-მემ . [შარაძე,1980:236-296]

[2] ეს ერთადერთი ხელნაწერია, რომლის მიკროფირიგ არ გვაქვს. ხელნაწერის ჩვენ მიერ მომზადებული აღწერილობა და ტექსტი იბეჭდება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ჟურნალ „მრავალთავის“ 23-ე ნომერში.

[3] ჩვენ მიერ შედგენილი ფრანგულენოვანი ელექტრონული კატალოგი გამოქვეყნებულია ნაციონალური ბიბლიოთეკის ვებგვერდზე: <http://archivesetmanuscripts.bnf/cdc.html>

[4] ტექსტი იდენტიფიცირებულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის უფროსი მეცნიერ- თანამშრომლის, ლილი ხეცსურთანის, მიერ, რომელიც წლების განმავლობაში იკვლევს იოვანე-ზოსიმეს ლიტერატურულ საქმიანობას. [ხეცსურთანი, 1968] იოვანე-ზოსიმეს კალენდარი შესწავლილი და გამოცემული აქვს ბელგიელ ქართველოლოგ ჟ. გარიტს. [Garitte, 1958]

[5] ამავე საუკუნის ანალოგიური ყდა, რომელზეც მეორდება Geo.3-ის ტვიფრული ორნამენტი, დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში (A 85).

[6] სარესტავრაციო სამუშაოები შესრულებულია ნაციონალური ბიბლიოთეკის რესტავრატორის ჟაკ სიკრის მიერ, რომელმაც ამ თემაზე მოხსენება წარმოადგინა 2009 წლის სექტემბერში ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამართულ ქართული ხელნაწერისადმი მიძღვნილ I საერთაშორისო კონფერენციაზე. მოხსენება იბეჭდება კონფერენციის მასალებში.

[7] ლექციონარს საგანგებოდ იკვლევს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართული ლიტურგიის ისტორიის შემსწავლელი ჯგუფი ლ. ხეცსურთანის ხელმძღვანელობით.

[8].ანდერძ-მინაწერები გამოქვეყნებულია. [თაყაიშვილი, 1933:294-295]

[9] ქართველთა მოღვაწეობა იერუსალიმში საბოლოოდ XVIII ს-ში დასრულდა. [მენაბდე, 1980:69-139]

[10] 1570-1572 წ.წ. ევლასე მთავარეპისკოპოსის ჯვრის მონასტერში განუახლება არაერთი წიგნი. [Цагарели, 1888: 64, 88-89, 168,182]

[11] მაგალითისათვის მოვიხმობთ H 1667-ჯრუჭი მეორე, Q 908-გელათის, A1335-ვანის ოთხთავებს.

[12] მოსახსენებელთა ტექტები გამოქვეყნებულია. [თაყაიშვილი, 1933:295; მეტრეველი, 2007:278-280]

ლიტერატურა

თაყაიშვილი ე. 1933	პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დაწერლობის ნიმუში. პარიზი.
კეკელიძე კ. 1980	ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტომი I. თბილისი.
მენაბდე ლ. 1980	ძველი ქართული მწერლობის კერები. ნაწილი II. თბილისი.
მეტრეველი ელ. 2007	ჯვრის მონასტრის კიდევ ერთი ქართული ხელნაწერი 2007 ჯვაროსანთა მოსახსენებლებით. ფილოლოგიურ-ისტორიული მიეზანი. I. თბილისი.
უტიე ბ. 1973	ქართული ხანმეტი ლექციონრის ერთი ფურცელი პარიზში. მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია. I.
ქართული... 1987	ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი (ძველი და ახალი აღთქმის საკითხავები). ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს კ. დანელიამ, სტ. ჩხენკელმა და ზ. შავიშვილმა. გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო კორნელი დანელიამ. ტომი I. ნაწ. I. თბილისი.
ქართული... 1997	ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი (ძველი და ახალი აღთქმის საკითხავები). ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს კ. დანელიამ, სტ. ჩხენკელმა და ზ. შავიშვილმა. გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო კორნელი დანელიამ. ტომი I. ნაწ. II. თბილისი.
შანიძე აკ. 1929	ქართული ხელნაწერები გრაცში. ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე. ტომი 9. ტფილისი.
შანიძე აკ. 1944	ხანმეტი ლექციონარი. თბილისი.
შარაძე გ. 1991	დაბრუნება. თბილისი.
ხაჩიძე ლ. 1987	იოანე მინჩხის პოეზია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ლელა ხაჩიძემ. თბილისი.
ხევსურიანი ლ. 1968	Sin.34–ის შედგენილობისათვის. მრავალთავი. IV. თბილისი.
ხევსურიანი ლ. 2001	გიორგი მთაწმინდლის რედაქციის მარხვანის ავტოგრაფული ნუსხის საკითხისათვის. ლიტერატურული მიეზანი. XXII. თბილისი.
ხუციშვილი ნ. 2006	იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში. არტანუჯი.
Brosset M.F. 1830	Chronique géorgienne. Paris.
Brosset M.F. 1833	Mémoires inédits relatifs à l' histoire et à la langue géorgienne. Paris .
Brosset M.F. 1837	Éléments de la langue géorgienne. Paris.
Brosset M.F. 1884	Notice sur le Dictionnaire géorgien de Soukhian-Saba Orbéliani. Journal Asiatique.
Garitte G 1958	Le calendrier palestino-géorgien du Sinaiticus 34 (X e siècle). Bruxelles.
Garitte G 1960	Les Feuilles géorgiennes de la collection Mingana à Selly Oak. Le Muséon, 73,3-4.
Gussen H. 1923.	Über georgische Drucke und Handschriften. Die Festordnung und den Heiligenkalender des altchristlichen Jerusalems betreffend, B. Kühlen, Mönchen-Cladbach.
Outtier B. 1972	Les Feuilles géorgiennes de Lectionnaire Hanmeti à Paris. Le Muséon, LXXXV, 3-4
Outtier B. 1984	« Notule sur les versions orientales de l'histoire Philothée (CPG 6221) in Antidoron, Hommage à Maurits Geerard pour célébrer l'achevement de la Clavis Patrum Graecorum, I, Cultura, Wettem.
Pearson M. 1954	Oriental Manuscript Collection of Great Britain and Ireland.London.
Tarkhnychvili M. 1959-1960	L'église de Jérusalem (5-8e siècle), traduit et édité par Michel Tarkhnychvili, Corpus scriptorum christianorum, scriptorum ibérica, t.9,10,13-14, Louvain.

Цагарели А. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საარქივო ფონდი. ე. მეტრეველის არქივი NN 511–514.
1888

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი "სპეკალი"